ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

11/10/2019

1230-25-4-201910111804

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1230

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში ასიგნების, საპროექტო განაცხადების განხილვის, შერჩევის და გამოვლენის ვადების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში ასიგნების, საპროექტო განაცხადების განხილვის, შერჩევის და გამოვლენის ვადები:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში ასიგნება განისაზღვროს 500 000 ლარის ოდენობით:

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ონლაინ პლატფორმის (idea.batumi.ge) მეშვეობით წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების განხილვისა და შერჩევის ვადები განისაზღვროს 2019 წლის არაუგვიანეს 10 ნოემბრის ჩათვლით.

გ) მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად საუკეთესო საპროექტო განაცხადების გამოვლენის ვადები განისაზღვროს 2019 წლის 11 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით.

2. ეთხოვოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უზრუნველყოს არაუგვიანეს 2019 წლის 10 ნოემბერს არაუმეტეს ათი პროექტის შერჩევა, მონაწილეობითი ბიუჯეტის პლატფორმაზე ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სოფიკო ხალვაში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - მ.შ.